

## მრგვალი მაგიდა: მუსიკალური ფურიზმი

**მთავარი მომხსენებელი და თავმჯდომარე:** ქეროლაინ ბითელი, მადონა ჩამგელიანთან, ნინო ნანეიშვილთან (საქართველო), ჰეფ ბარტონთან (დიდი ბრიტანეთი) და მარინა დექრისტოფოროსთან (აშშ) ერთად

**ქეროლაინ ბითელი** – ჩვენი მრგვალი მაგიდის დასაწყისში მოკლედ შევაჩამებ დღევანდელ ვითარებას მუსიკალურ ტურიზმთან დაკავშირებით საქართველოში და გამოვყოფ კრიტიკულ თემებსა და საკითხებს, რომლებიც შეიძლება გახდეს ჩვენი დისკუსიის საგანი. შემდეგ მოვიწვევ ჩემს კოლეგებს ამ და სხვა საკითხებზე უფრო დეტალურად სასაუბროდ, რათა უფრო ყურადღებით განვიხილოთ სიმღერის შემსრულებლი უცხოელი სტუმრებისა და მათი ქართველი მასპინძლების მოტივაცია და გამოცდილება; კულტურული ტურიზმის ამ კონკრეტულ ფორმასთან დაკავშირებული სარგებელი და გამოწვევები.

### ჩვენი დისკუსიის მონაწილეები არიან:

- მადონა ჩამგელიანი – ეთნოლოგი და სვანური ტრადიციული რეპერტუარის ცნობილი შემსრულებელი (თავის დებთან, ანასა და ეკასთან ერთად). მადონამ მოიფერა პროექტის „ლახუშდი – მომღერალი სოფელი“ მრიგინალური ხედვა.
- ნინო ნანეიშვილი – ბევრისთვის ცნობილია, როგორც „იალონის“ მხატვრული ხელმძღვანელი. ნინო ატარებს მასტერკლასებს ევროპის ქვეყნებში და ბოლო ხუთი-ექვსი წელია – სასიმღერო ტურებს საქართველოში.
- ჰეფ ბარტონი – ლონდონის ქართული გუნდის, „მასპინძელის“ დიდი ხნის წევრი და ყოფილი ხელმძღვანელი; ტურების ვეტერანი მონაწილე. ჰეფი, ასევე, მღერის ლონდონის ბულგარულ გუნდში.
- მარინა დექრისტოფორო – მარინას სადოქტორო დისერტაცია (2021) მოიცავს თავს სახელწოდებით „სოფლის მომღერლები და მომღერალი სოფლები“. მას აქვს როგორც ტურებში მონაწილეობის, ასევე, ტურების ორგანიზების გამოცდილება (ამსამბლ „ადილეისთან“ პარტნიორობით).

კვლევა ამ თემაზე, თავისი სადოქტორო დისერტაციის ფარგლებში, ასევე, ჩაატარა მეთიუ ნაითმა, რომელიც არის ავტორი თავისა პოლიფონისა და ტურიზმის შესახებ წიგნისთვის ქართული ტრადიციული მრავალხმიანობა: თანამედროვე ტენდენციები და განვითარების პერსპექტივები. მეთიუ დისტანციურად მიიღებს მონაწილეობას სესიაში. აქ დამსწრე სხვა ტურ-ლიდერებს შესაძლოა სურდეთ, ჩაერთონ სესიის მსვლელობაში. დარბაზში, ალბათ, ბევრი იქნება, გასულ წლებში, სიმპოზიუმის დაწყებამდე ან მისი დასრულების შემდეგ მოწყობილი, სასწავლო ტურების ან სასიმღერო ბანაკების მონაწილე.

### ცნებები და ტერმინოლოგია

სანამ უშუალოდ განხილვაზე გადავალთ, მინდა, შემოგთავაზოთ რამდენიმე კონცეფცია თეორიული ლიტერატურიდან ტურიზმის შესახებ, ასევე, ტერმინოლოგიის საკითხები. რას ვფიქრობთ მათზე, ვინც ამ ტიპის ხალხური მუსიკალური ტურიზმით არის დაკავებული? და რას ფიქრობენ ისინი საკუთარ თავზე?

- ტურისტი – მოგზაური – ვიზიტორი – მომხმარებელი – კლიენტი – შეგირდი – სტუმარი – მეგობარი.

- ლოტბარი – პედაგოგი – შუამავალი – თარჯიმანი.
- ტურის ორგანიზატორი – გილი – ანტრეპრენიორი – მასპინძელი.

### **კრიტიკული ლიტერატურიდან ტურიზმის შესახებ**

ულფ ჰანერცმა (წიგნში ტრანსნაციონალური კავშირები: კულტურა, ხალხი, ადგილები, 1996) ყურადღება გაამახვილა მნიშვნელოვან განსხვავებაზე ტურისტებსა და კოსმოპოლიტებს შორის. მას მოჰყავს პოლ ტერუს ციტატა, რომ ბევრი ადამიანის მოგზაურობის მიზანია „სახლი პლუს“ (სახლი პლუს მზე ან ლამაზი პლაზები, მაგალითად), სადაც ტურიზმი, ძირითადად, ფუნქციონირებს როგორც სანახაობრივი სპორტი. კოსმოპოლიტები, პირიქით, „მიდრეკილნი არიან ჩაეფლონ სხვა კულტურებში... მათ სურთ იყვნენ მონაწილეები“.

მუსიკა ხშირად არის სანახაობრივი სპორტული ტურიზმის ნაწილი – როდესაც ტურისტებს შეხება აქვთ ტრადიციული მუსიკისა და ცეკვის საგარაუდო შესულებასთან სასტუმროებში, რესტორნებში ან დადგენილ ტურისტებს ადგილებში, „ვიზიტორის გამოცდილების“ ფარგლებში. მათ, ვისაც სურს თავი აარიდოს მასობრივ ტურიზმს და უფრო ღრმა მუსიკალური გამოცდილება მიიღოს, შეეძლიათ, აირჩიონ კონცერტები და ფესტივალები. უკანასკნელ წლებში საქართველოში იმატა ასეთმა მუსიკალურმა შეთავაზებებმა, როგორც ტურიზმის უფრო მეტად განვითარების საშუალებამ და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა უცხოელი ვიზიტორების მიერ საქართველოს მდიდარი მუსიკალური მემკვიდრეობის გაცნობის საქმეში. მაგრამ საუკეთესო შემთხვევებშიც კი, პერფორმანსი, ძირითადად, ემსახურება გართობას. ამის საპირისპიროდ, უცხოელი ვიზიტორები, რომლებიც ხვდებიან ქართულ სოფლებში და ინყებები რეგიონული სიმღერების სტილისა და რეპერტუარების შესწავლას სიმღერის ადგილობრივ ოსტატებთან, წარმოადგენენ მოგზაურის სრულიად განსხვავებულ ტიპს, რომელიც ჰგავს კოსმოპოლიტს ჰანერცისეული გაგებით.

ტურისტებისთვის გამიზული პერფორმანსები, ასევე, ასოცირდება „სასცენო ავთენტიკურობის“ ცნებასთან, რომელიც დინ მაკანელმა (1970-იან წლებში) გამოიყენა, მოჩვენებითი ავთენტიკური სოფლის ცხოვრების პერფორმანსების აღსანერად, რომლებიც სპეციალურად ტურისტებისთვის ენყობოდა ე.წ. „წინა ხაზის“ რეგიონებში, მაშინ როცა ადგილობრივი მოსახლეობა „უკანა ხაზის“ რეგიონებში ცხოვრობდა. ისევ და ისევ, ეს არის ბარიერი, რომელსაც კვეთენ სასიმღერო ბანაკების მონაწილეები, როდესაც ისინი ხანგრძლივად ცხოვრობენ სოფლის ოჯახებში, ჩართული არიან ყოველდღიურ საქმიანობაში და შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ ფესტივალებში, რომლებიც, ჩვეულებრივ, გარეშე პირთათვის ღია არ არის.

ეს ფენომენი, ასევე, შეგვიძლია განვიხილოთ „ალტერნატიული“ ტურიზმის მრავალ სახეობასთან მიმართებაში, რომლებიც 1980-იანი წლებიდან გაჩნდა, შემდეგი ეტიკეტებით: კულტურული ტურიზმი, ეთნიკური ტურიზმი, ეკოტურიზმი, მწვანე ტურიზმი, მდგრადი ტურიზმი, ინტელექტუალური ტურიზმი, ეთიკური ტურიზმი. ალტერნატიული ტურიზმის ბიზნესი ცდილობს, შეამციროს უფსკრული ადგილობრივებსა და ვიზიტორებს შორის, ვიზიტორის ჩაყენებით აქტიური მონაწილის და არა პასიური მომხმარებლის როლში. ასეთი ტურიზმი უფრო მოგებიანია ადგილობრივი ეკონომიკისთვის, რადგან ვიზიტორები უფრო ხშირად გაჩერდებიან ადგილობრივთა ოჯახებში და, მხარს დაუჭერენ, მაგალითად, ადგილობრივ, გარემოსდაცვით ინიციატივებს.

მასობრივი ტურიზმის ნეგატიური ეფექტების დაბალანსების სულისკვეთებით, ავტორები წიგნისა ტურისტები და ტურიზმი: იდენტიფიკაცია ადამიანებთან და

ადგილებთან (რედ. Abram, Waldren & Macleod, 1997), შეეცადნენ ეჩვენებინათ, თუ როგორ შეუძლია ტურიზმს „ადამიანებისთვის პირობების უზრუნველყოფა [მასპინძელ საზოგადოებაში], როგორ ახდენენ ისინი საკუთარი თავს დანარჩენ სამყაროსთან“. წიგნში „ტურისტებთან ურთიერთობა: ევროპის პასუხი მასობრივ ტურიზმზე“ (1996) ჰქონის ბუსვენი ანალოგიურ კომენტარს აკეთებს ტურისტული ინტერესის პოტენციალზე, რომელსაც შეუძლია, ხელი შეუწყოს მასპინძლების თვითშეგნების, სიამაყის, თავდაკერებულობისა და სოლიდარობის განცდას“ და სტიმული მისცეს ტრადიციული ხელნაკეთობებისა და ადგილობრივი დღესასწაულების აღორძინებას. ეს შეთავაზებები არის კიდევ ერთი კრიტერიუმი, რომლითაც შეგვიძლია შევაფასოთ სასიმღერო ტურისტული ინიციატივები და მათი მნიშვნელობა საქართველოში.

სასიმღერო ბანაკები და სასწავლო ტურები საქართველოში

ორგანიზებული ვიზიტები მომღერალთა ჯგუფებისთვის, რომლებიც სპეციალურად ჩამოდიან საქართველოში ტრადიციული სიმღერების შესასწავლად, სხვადასხვა სახელს ატარებენ: მუსიკალური ტური – სასიმღერო ტური – ხალხური სიმღერის სასწავლო ტური – სასწავლო-საშემსრულებლო ტური – სალობდარო ტური – მუსიკალური განმარტოება [რეტრიტი] – განმარტოება ხალხური სიმღერისთვის [რეტრიტი] – სასიმღერო ბანაკი – ხალხური სიმღერის შემსრულებლი ბანაკი – საზაფხულო ბანაკი განსახლებით – მასტერკლასი (ვორქშოფი) – მუსიკალური და კულტურული თავგადასავალი.

### **არსებობს ამ მოვლენების სტრუქტურირების სხვადასხვა მოდელი:**

- ზოგი გულისხმობს ერთ ადგილზე ხანგრძლივ ყოფნას, ყველაზე ხშირად აქცენტი კეთდება ექსკლუზიურად ადგილობრივ რეპერტუარზე; ოუმცა, ზოგი მოიცავს ჯეფის თანმხლებ ჰედაგოგებს საქართველოს სხვა კუთხეებიდან.

- ზოგიერთი იყენებს „ორმაგი ბაზის“ მოდელს, რომელიც მონაწილეებს საშუალებას აძლევს, გაეცნონ ორ კონტრასტულ რეგიონულ სტილსა და რეპერტუარს: პოპულარული კომბინაცია სოფელი ლახუშდი სვანეთში და სოფელი მერისი აჭარში.
- ზოგი გულისხმობს ხანმოკლე ყოფნას სამ ან თოხ ადგილას, რაც ინტენსიურ სწავლაზე მეტად უპირატესობას ანიჭებს სტილისა და გარემოს ფართო სპექტრის მოსინჯვის შესაძლებლობას.

- „ვილიკ ჰარმონი“ (რომელმაც საქართველოში პირველი ბანაკი იც წელზე მეტი ხნის წინ ჩაატარა) იყენებს შერეულ მოდელს, რომელიც იწყება ერთკვირიანი ინტენსიური რეპეტიციებით, სადაც მონაწილეებს შეუძლიათ ისწავლონ ოცი ან მეტი სიმღერა. შემდეგ ისინი მოგზაურობენ ქვეყნის მასშტაბით, ხვდებიან მომღერლებს სხვადასხვა ადგილას, მონაწილეობენ მოკლე მასტერკლასებში მოწვეულ ჰედაგოგებთან და მონაწილეობას იღებენ კონცერტებსა თუ ფესტივალებში, ხშირად ადგილობრივ ანსამბლებთან ერთად.

### **ასევე, განსხვავებულია დაბინავების ფორმები:**

- სტუმრად ჩამოსული ჯგუფების წევრები შეიძლება განთავსდნენ სხვადასხვა ოჯახში ან ყველა დარჩეს ერთსა და იმავე სასტუმრო სახლში.
- ზოგ შემთხვევაში, ისინი ბინავდებიან ახლად აშენებულ შენობაში, ძირითადად, მათი ჰედაგოგის საცხოვრებელ სახლში: მაგალითად, ლენკერში ფილფანების სახლი და მერისში თურმანიძების სახლი.

### **ამ ტურებსა და ბანაკებში მონაწილეები სხვადასხვა მარშრუტით მიღიან:**

- „ვილიკ ჰარმონის“ შემთხვევაში, ქართული ბანაკები უფრო ფართო საერთაშორისო პროგრამის ნაწილია, რომელიც მოიცავს პარტნიორობას მომღერლებთან და პედაგოგებთან სხვადასხვა ქვეყანაში და ისინი ხშირად იყვანენ ადამიანებს, რომლებსაც ადრეც ჰქონიათ კავშირი „ვილიკ ჰარმონის“ საქმიანობასთან, შეერთებულ შტატებში ან მის ფარგლებს გარეთ.
- კარლ ლინიქის სალოტბარო ტურები განკუთვნილია მათთვის, ვისაც უკვე აქვს ქართული სიმღერის გამოცდილება, მონაწილეები, ძირითადად, პირადი კონტაქტებით არიან მოზიდულები.
- ნინი ნანეიშვილის, ლევან ბითაროვისა და სხვების ხელმძღვანელობით ჩატარებული ტურები ამოიზარდა იმ ვორქშოფებიდან, რომლებსაც ისინი უძღვებიან ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში. ვორქშოფების მონაწილეებს უწინდებათ საქართველოში ჩამოსვლის სურვილი.
- „ლახუშდის – მომღერალი სიფლის“ პროექტს საფუძველი ჩაეყარა სრულიად განსხვავებული კონცეფციით, რაზეც მაღონა ცოტა ხანში თავად გვეტყვის.

უცხოელი მონაწილეების რაოდენობა შეიძლება მერყეობდეს სამიდან ოცდაათამდე. ბევრი მომღერალი ყოველწლიურად ბრუნდება საქართველოში, ზოგჯერ იმავე ადგილებში, სადაც მეგობრები შეიძინეს, ზოგჯერ კი ახალ ადგილებს ეძებენ. ადამიანების უმეტესობა ამ მოგზაურობის შესახებ ჰერ კიდევ პირადი კავშირებითა და ზეპირი ინფორმაციით იგებს, მაგრამ ზოგი ჭავჭავის შემადგენლობა უფრო მრავალფეროვანი გახდა ახლა, როდესაც ეს ტურები ადვილად იძებნება ინტერნეტში (მაგალითად, ფეისბუქის საშუალებით).

სიმღერის შესწავლაზე დახარჯული დრო შეადგენს დღეში ორიდან ექვს საათამდე ან მეტს. ზოგჯერ, სიმღერის ძირითადი გაკვეთილების გარდა, სთავაზობენ ცეკვისა და ინსტრუმენტებზე დაკვრის გაკვეთილებს. პროგრამების უმეტესობა მოიცავს კულტურული ან ისტორიული ღირსშესანიშნაობების მონახულებას და, ასევე, შეიძლება, მოიცავდეს ხინკლის, ჩურჩხელას, სვანური მარილის, ყველის ან ჭაჭის დამზადების მასტერკლასებს.

ასეთიტურების ღირებულებამნიშვნელოვნად განსხვავდება, რაც დამოკიდებულია არა მხოლოდ მოგზაურობის ხანგრძლივობაზე, არამედ ტრანსპორტის რეჟიმსა და განსახლების ტიპზე, მასწავლებლების რაოდენობაზე და სხვ., დამატებით გადასახდელია, მაგ. ფესტივალებზე დასწრებისა და მუზეუმებში შესვლის ხარჯები. ამ ზაფხულს (2022) ტურების ხანგრძლივობა მერყეობდა 9-დან 17 დღემდე, ხოლო ღირებულება - 720 ევროდან (10 დღიანი ტური) 1900 აშშ დოლარამდე (17 დღიანი ტური). ამ უკანასკნელ შემთხვევაში („ვილიკ ჰარმონის“) ჰქონდა ფასდაკლებული ტარიფი ახალგაზრდებისთვის, ასევე, სტიპენდიაზე განაცხადის შესაძლებლობა.

შესავალ სიტყვას ვასრულებ იმ უპირატესობებისა და გამოწვევების წინასწარი ჩამონათვალით, რომელთა იდენტიფიცირებაც უნდა მოვახდინოთ.

### **სარგებელი მონაწილეებისთვის/სტუმრებისთვის:**

- მათი ქართული სიმღერების რეპერტუარის გაფართოება და განახლება, როგორც ინდივიდუალურად, ისე გუნდის შემადგენლობაში.
- სწავლა უმუალოდ ლოტბარებისგან და ეთნოფორებისგან.
- ახალი მუსიკალური ენისა და სხვებთან ერთად მღერის ახალი გზების შესწავლა.
- ცხოვრების ისეთი წესის განცდა, სადაც სიმღერა და ცეკვა ჰერ კიდევ მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

- პირველადი ინფორმაციის მოპოვება სიმღერების კულტურული და ისტორიული კონტექსტის შესახებ.
- „ნორმალურ“ ქართულ სახლში სტუმრად ყოფნის განცდა.
- მასპინძელი ოჯახისა და ოემის ყოველდღიურ საქმიანობაში მონაწილეობა.
- მონაწილეობა ადგილობრივ ფესტივალებსა და როტუალებში.
- ადგილობრივი თემებისა და საბაზო საწარმოების უშუალო მხარდაჭერა.

### **სარგებელი მასწავლებლებისა და მასპინძლებისთვის:**

- სტუმარი ჰავაფები შემოსავლის წყაროა (მასპინძელი ოჯახებისთვის, პედაგოგებისთვის, ტურის ორგანიზატორებისთვის, თარჯიმნებისთვის, მძღოლებისთვის და ა.შ.).
- გადახდილი თანხა შეიძლება გამოყენებულ იქნას საოჯახო პირობების გასაუმჯობესებლად (მაგ. აბაზანის დამონტაჟება) ან ისეთი პროექტების დასაფინანსებლად, რომლებიც სარგებელს მოუტანს მთელ თემს.
- სტუმრების განთავსება ადგილობრივ ოჯახებში არის ფინანსური სარგებლის გაზიარების და, ასევე, მეტი ადამიანის ჩართვის საშუალება მასპინძლობის სოციალური კუთხით.
- ბევრი მასპინძელი მოუთმენლად ელის ყოველწლიურად ახალ სტუმრებს და ასევე აფასებს ხანგრძლივ-პერსპექტივიან მეგობრობას, რომელსაც ისინი ამყარებენ ზოგიერთ სტუმართან.
- სტუმრები შეიძლება გახდნენ ტრადიციული პრაქტიკის გაცოცხლებისა და აღდგენის სტიმული.
- სუფრასთან, როგორც მასპინძლებმა, ისე სტუმრებმა შესაძლოა განიცადონ მხიარულებისა და სიყვარულის გადაჭარბებული გრძნობით აღსავსე მომენტები.
- მათ, ვინც ექსპურსიამძღოლად ან თარჯიმნად მუშაობენ, შესაძლოა თავისთვის პირველად აღმოაჩინონ საკუთარი ქვეყნის კუთხეები.
- სტუმრები ცოცხალი მტკიცებულებაა იმისა, რომ ქართულ კულტურას აფასებენ და პატივს სცემენ საქართველოს ფარგლებს გარეთ.
- პედაგოგის ან ადგილობრივი ანსამბლების მიწვევა საზღვარგარეთ ვერქშოფებისა და კონცერტების ჩასატარებლად შეიძლება გახდეს პროექტის გაგრძელების შესაძლებლობა.

### **გამოწვევები – კრიტიკული კითხვები:**

- ერინააღმდეგება თუ არა ფინანსური ინტერესი სტუმართმოყვარეობისა და სასიმღერო პრაქტიკის ტრადიციულ ფორმებს?
- აქვს თუ არა ზოგიერთ მასპინძელს განცდა, რომ უცხოელი სტუმრებით, მათ მიერ შემოტანილი ფულითა და პრესტიუით კონკურენციას უწევს სხვებს?
- რა ხდება, თუ სოფლის ზოგიერთი მაცხოვრებელი უცმაყოფილოა უცხო ადამიანების შემოდინებით იმ სივრცეში, რომელიც მათ პირადულად მიაჩინათ?
- არსებობს თუ არა ყველაზე პოპულარული ლოკაციების გადატვირთვის რისკი, ვიზიტორების ან ტურების გადაჭარბებული რაოდენობით? და ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ სხვები ვერ შეძლებენ სიცოცხლისუნარიანობისთვის საკმარისი მონაწილის მოზიდვას?
- არსებობს თუ არა სიახლის გაქრობისა (მასპინძლებისთვის) და მომსახურების დონის დაცემის რისკი (როგორც ხარისხის, ასევე ენთუზიაზმის თვალსაზრისით)?
- რა მოხდება, როდესაც ლეგენდარული მოხუცი ლოტბარები, რომლებიც მთავარ მიმზიდველ ფაქტორს წარმოადგნენ, ცოცხლები აღარ ქრებიან?

- არსებობს თუ არა საშიშროება, რომ მუსიკალური მემკვიდრეობა, უფრო ფართო გაგებით, გადაიქცეს საბაზრო საქონლად კაპიტალისტურ ან ნეოლიბერალურ ეკონომიკაში?

და ბოლოს, ამ მრგვალი მაგიდის ანოტაციაში წერია: „კულტურული ტურიზმის ეს შედარებით ახალი სფერო საჭიროებს სისტემატიზაციას და დახვენას სწავლებისა და მენეჯმენტის კუთხით“. აქ მინდა დავსვა შეკითხვა:

- რა შეიძლება იყოს ასეთი მიდგომის სარგებელი?
- რა იქნება რისკები?

**ქეროლაინ ბითელი მადონა ჩამგელიანს:** 2011 წელს გამიმართლა და ვიყავი პირველი ჰავუფის წევრი, რომელიც გამოეხმაურა უცხოელი სტუმრების მიწვევას, ჩასულიყვნენ ლაბუშდში, ლიმერის დღესასწაულთან დაკავშირებული სიმღერებისა და ცეკვების შესასწავლად და დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად. სწორედ ეს არის ამოსავალი რამდენიმე შეკითხვისთვის, რომელიც მინდა დავსვა მადონას, ძალიან მნიშვნელოვან ადამიანს ამ ყველაფერში. მადონა, მოკლედ გვითხარით როგორი იყო თქვენი საწყისი ხედვა პროექტისა „ლაბუშდი – მომღერალი სიფელი“ და რით არის ეს პროექტი გამორჩეული ან განსხვავებული სხვა პროექტებისგან, რომლის ფარგლებშიც უცხოელები მოდიან ქართული სიმღერის შესასწავლად?

**მადონა ჩამგელიანი:** მადლობა ქეროლაინ, ამ შემთხვევაში, ცოტა როთულია ამ ყველაფერზე აქედან ლაპარაკი, მაგრამ მინდა გავიხსენო, როგორ გაჩნდა ეს იდეა. 2011 წელს ვმუშაობდი რაღაც თემაზე, ჩასული ვიყავი სვანეთში და ვწახე, რომ ჩემს სოფელში, რომელიც მანამდე სავსე იყო ცოცხალი ფოლკლორით, რიტუალებში მონაწილეობდნენ მხოლოდ მოხუცი ადამიანები და დავფიქრდი, რომ როცა ეს მოხუცები აღარ იქნებოდნენ, ეს სოფელიც და დანარჩენი სვანეთიც, გახდებოდა ჩვეულებრივი რეგიონი ლამაზი ხედებითა და არანაირი ტრადიციით.

ამ დროს გავიცანი ქალბატონი მექ ბრეი, შოტლანდიული ქალბატონი, რომელიც დაინტერესებული იყო ქართული ხალხური მუსიკით და იმუამად იმყოფებოდა ლენქერში, ბატონი ისლამ ფილფანის მასტერკლასებზე. მე და ეთნომუსიკოლოგი ნანა მუავანაძე, რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა ამ პროექტის განვითარებაში, შევხვდით მექს და მოვეყევით ჩემი მომღერალი სოფლის რიტუალების, ტრადიციებისა და ა.შ. შესახებ. ჩემი მიზანი იყო, შევვექმნა მუსიკოსების, ეთნომუსიკოლოგებისა და დაინტერესებული ადამიანების ჰავუფი, რომელიც დაესწრებოდა სახალხო დღეობებს, არა როგორც ტურისტი, არამედ, როგორც თანამონანილე, შეისწავლიდა ამ ყველაფერს და გაუღვივებდა ახალგაზრდებს ამ ტრადიციების შენარჩუნების სურვილს. მეტი ძალიან დაინტერესდა ამ იდეით და ჩვენ დავიწყეთ ერთად მუშაობა 2011 წელს.

პირველ ჰავუფში იყო 23 ადამიანი. თავდაპირველად ყველანი დაძაბული ვიყავით, არ ვიცოდით და ერთმანეთს ვეკითხებოდით, მაგალითად, როგორ უნდა გვემასპინძლა უცხოელებისთვის და ა.შ. თუმცა მათგან იმხელა მუხტი მოდიოდა, რომ, სულ რაღაც 10 დღეში, ერთ ოჯახად ვიქეცით. ვფიქრობ ამ პროექტის ერთ-ერთი მთავარი მონაპოვარი არის დამეგობრება ადამიანებთან მსოფლიოს მასშტაბით. ასე გაჩნდა პროექტი *Lakhushdi's Singing Village*, რომლის ფარგლებში გავიცანით უამრავი მუსიკოსი, რომლებიც ჩამოდიან ჰავუფებად და მასწავლებლები, რომლებიც მოპყვებიან ამ ჰავუფებს.

აღსანიშნავია, რომ ეს პროექტი არ არის ბიზნესისთვის, ეს უფრო სოციალური პროექტია და ის ამართლებს. ჩვენი მიზანი იყო, ამ პროექტში ჩართულიყვნენ ადგილობრივი უხუცესები, რომლებიც საუკეთესო მომღერლები არიან, მაგრამ არ აქვთ მასწავლებლის „უნარები“. ამაში მათ ეხმარებოდნენ ნანა მუავანაძე, ზოე პერე და სხვა მუსიკოსები. მათი ჩართულობა ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდა

ადგილობრივი ახალგაზრდებისთვის. ამის შედეგას, რომ ახლა არ გვაქვს ახალგაზრდა თაობის პასიურობის პრობლემა, პირიქით, ერთად ვაკეთებთ საქმეს. ამჟამად, ჩვენი ხალხის დახმარებით, ვაკეთებთ *Singing House*-ს, ადგილს, სადაც სოფლის მოსახლეობასა და სტუმრებს შეეძლებათ ერთ დიდ სივრცეში კომუნიკაცია, სიმღერების სწავლა და სწავლება და კიდევ ბევრი საინტერესო აქტივობა. რაც შეეხება იმას, რომ ტურიზმი ყოველმხრივ დადებითი მოვლენაა, ვერ ვიტყვი, რომ ასეა. მასხაოვს, ამ საქმეს რომ ვინყებდით, ქეროლაინმა ჩანერა ჩემგან ინტერვიუ, თუ რა მოლოდინები მქონდა ამ პროექტისგან. ამ გადასახედიდან ვფიქრობ, როცა ერთი ხელით კარგს აკეთებ, მეორე ხელით რაღაცას აფუჭებ, ამიტომ ბალანსის დაჭრა აუცილებელია იქ, რადგან რიტუალთან, ლოცვასთან და საკრალურ ქმედებებთან გვაქვს საქმე. ეს არ უნდა გახდეს გასაყიდი პროდუქტი და ამის გაკეთება რთულია ხოლმე, იმიტომ, რომ სოფელში უკვე მომრავლდა საოჯახო სასტუმროები, ოფიციალური, ტურისტული ლოკაციები და ამას ვეღარ შეაკავებ, მაგრამ თუ სწორ მიმართულებას მისცემ, ალბათ გადავრჩებით ამ კუთხით.

**ქეროლაინ ბითელი ნინო ნანეშვილი:** თქვენი ტურებისთვის, თქვენ შეიმუშავეთ ლაბუშდისგან ძალიან განსხვავებული მოდელი. შეგიძლიათ მეტი გვითხრათ, რატომ გადაწყვიტეთ ტურის ფარგლებში მოგზაურობა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში და სხვადასხვა მომღერლებთან ერთად?

**ნინო ნანეშვილი:** სასიმღერო ტურების მოწყობის იდეა – პირველად, მგონი, 5-6 წლის წინ მომივიდა, ძირითადად, რაჭაში. როცა ადგილობრივ შემსრულებლებს შევხვდი, იმდენად აღელვებული ვიყავი, რომ გადაწყვიტე სახლის ყიდვა რაჭაში. ამაზე ვფიქრობდი, მაგრამ მალე ჩვენს დიდ ოჯახში ტრაგედია დაწრიალდა: დავკარგეთ ახალგაზრდა ბიძა და ძმისშვილი, და ჩემი სახლი სამეგრელოში დაიკეტა. როცა შემდეგ ტურჩე ვფიქრობდი, მივხვდი, რომ არ მჭირდებოდა ადგილის ყიდვა სხვა რეგიონში: ეს იყო ჩემი ადგილი, რომელიც უბრალოდ დაიკეტა, ნგრევას იწყებდა და სწორედ მე უნდა აღმედეგინა. როცა ჩემს სოფელში წავედი, ამაში კიდევ უფრო მეტად დავრწმუნდი. წამოწყებაში მხარი დამიჭირეს ჩემმა ბრიტანელმა მეგობრებმა ანსამბლიდან „მასპინძელი“. შემდეგ ტურში ძირითადად იყვნენ „მასპინძელის“ წევრები, და რამდენიმე ადამიანი სხვა ქვეყნებიდან. მთელი ფული/შემოსავალი გამოვიყენეთ ძველი სახლის რემონტისთვის, რომელიც ჩემს ბებიაბაბუას ეკუთვნოდა. ჩემთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანი იყო და ახლაც არის. სამეგრელოში, ჩემ სოფელში, ტურის ორ-სამ დღეს ვატარებთ, და, იმედი მაქვს, კვლავაც ასე იქნება.

ეს იყო ჩემთვის პირველი იმპულსი. მეორე მხრივ, ექსპედიციებში ყოფნისას ვხვდებოდი ხანდაზმულ შემსრულებლებს, საოცარ მომღერლებს, რომლებსაც არ ჰყავდათ მონაფები. ამ ტიპის ტურები და თითოეული უცხოელი, რომელიც დაინტერესებულია ჩვენი კულტურით, დიდ გავლენას ახდენს ჩვენზეც და ჩვენს ახალგაზრდა თაობაზეც. არ ვიცი, როგორ დამეთანხმებიან ჩემი მეგობრები, მაგრამ ვფიქრობ, რომ უცხოელები, რომლებიც დაინტერესებული არიან ქართული მუსიკით, უფრო ინტელექტუალური ხალხია, ვიდრე სხვები, რადგან ამას სჭირდება საფუძვლი, რომელიც საშეალებას მისცემს ადამიანს, ეს შეიგრძნოს, დაიჭიროს განწყობა და შორს წავიდეს. ერთხელ ჩემს სოფელში მყავდა ქალბატონები ბევრიც არიან. ეს იყო ერთადერთი ტური, რომელიც მხოლოდ ჩემს სოფელში იყო, რადგან მათ ამჟობინებს ერთი ადგილი სიმღერებზე მეტი მუშაობისთვის. კონცერტის შემდეგ, რომელიც ჩემს ეზოში ჩავატარეთ, ჩემმა თანასოფლელებმა, რომლებსაც 30 წელზე მეტია ვიცონბ, მთხოვეს რომ ვორქშოფები ადგილობრივებისთვისაც ჩამეტარებინა და ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო.

**ქერთლაინ ბითელი:** ხომ არ გსურთ, ცოტა კიდევ გვითხრათ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეს ტურები თქვენს ცხოვრებაში, როგორც ბევრი სხვა საქმე, რომელსაც აკეთებოთ?

**ნინო ნანეიშვილი:** რა თქმა უნდა, ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ფინანსური სარგებლის გარდა, ეს ტურები სამუალებას მაძლევს, მქონდეს სოციალური კომუნიკაცია სიმღერის შესახებ სხვადასხვა საკითხზე, როგორც ადგილობრივ შემსრულებლებთან, ისე უცხოელებთან, რომლებსაც ადრე არასდროს შევხვედრივარ და მათთან, ვისაც ისევ შევხვდი. მოგეხსენებათ, ყოველი დღე ახალი ფურცელია ჩვენს ცხოვრებაში, ჩვენი შეხედულებებიც იცვლება და ეს ძალიან საინტერესოა. ზოგჯერ ვფიქრობ, რომ ძალიან მძიმეა, იყო ასე „გამოფენილი“, თუმცა, როცა გრძნობა, როგორ ვრცელდება მუსიკისა და ურთიერთობების ეს აურა, ეს ძალიან დიდი სიმდიდრეა და, ვფიქრობ, რომ ძალიან გამიმართოთ, რომ ამ წრები ვარ.

**ქერთლაინ ბითელი:** გმადლობთ. მე უბრალოდ მინდა შეგახსენოთ რამდენიმე რამ, რაც ჩემთან ინტერვიუში თქვით, და რამაც გამაოცა. თქვენ ბრძანეთ, რომ თქვენთვის ასევე აირებულია როცა უცხოელის თვალებში ხედავთ, რომ მას ეს აბედნიერებს. რომ ზოგჯერ თვითონ უნდა გავარკვიოთ, რა დავკარგეთ, რა უნდა განვახოლოთ ან უფრო მეტად გავუფრთხილდეთ. ასევე მომიყევით ისტორიები იმის შესახებ, თუ ხშირად, როდესაც გეგმავთ ხანდაზმული მომღერლების მონახულებას, ისინი კითხულობენ: მართლა? ამ უცხოელებისათვის საინტერესო ვიქენები? და თქვენ გიჩვით მათი დარწმუნება. შემდეგ ისინი ძალიან ბედნიერები არიან, გირეკავენ და გეკითხებიან: როგორ არიან ჩვენი უცხოელები? სახლში ხომ უსაფრთხოდ დაბრუნდნენ? დიახ, ასეთი დეტალები, ეს ერთგვარი ნაპერნკალია მათ ცხოვრებაში.

**ნინო ნანეიშვილი:** დიახ, ეს ჩემთვის ძალიან ემოციურია. მინდა გავიხსენო ბოლო ტური სამეცნიეროში. „კოლხური ტრიოს“ ერთმა ქალბატონმა, ბელა ქამადაძემ, COVID-ის შემდეგ, როცა ყველა ფიქრობდა, რომ ეს მისი ბოლო დღეები იყო, თვალცრუმლიანმა მითხრა: „შენ დამარტმუნე, რომ ისევ საინტერესო ვარ. ამის შემდეგ მე ხელახლა დავიბადე“. მაგალითად, გურიაში შევხვდი მერაბ კალანდაძეს, საოცარ ბანს, რებული მჟავანაძეს და სხვებს, რომლებიც ხშირად მირეკავდნენ, მიზიარენდნენ თავის ემოციებს და მეკითხებოდნენ ტურის თითოეულ მონაწილეზე: „როგორ არის სუბანი? როგორ არის ქერთლაინი? ჩემგან მოკითხვა გადაუცე!“ მათ ეს სჭირდებათ, უნდა იცოდნენ, რომ მნიშვნელოვანი არიან არა მხოლოდ ქართველებისათვის. ეს არის მათი მოტივაცია, რაც, დარწმუნებული ვარ, სიცოცხლის ენერგიას მატებს.

**ქერთლაინ ბითელი:** დიახ, ეს დაკავშირებულია ჰანმრთელობასთან, ბედნიერებასთან და კეთილდღეობასთან, არა? მეც ავდელდი, როდესაც გისმენდით.

**ქერთლაინ ბითელი ჯეფ ბარტონი:** ეხლა ჯეფთან გადავალ. ჯეფ, თქვენ წლების განმავლობაში ყოფილხართ სიმღერის შემსწავლელ არაერთ ტურში საქართველოში. ზოგიერთის შესახებ ვიცი და ზოგის შესახებ – არა. არ გსურთ, გვითხრათ, რა ისნავლეთ ან რამდენად აირებული იყო ეს გამოცდილება, უბრალოდ, ახალი რეპერტუარის შესწავლის გარდა? და თუ გსურთ, გავიზიაროთ ერთი ან ორი მაგალითი?

**ჯეფ ბარტონი:** ვფიქრობ, რომ საკმაოდ საინტერესო ჩამონათვალი წარმოადგინეთ თქვენს პრეზენტაციაზე. ვფიქრობ, სიმღერების სწავლასთან და სხვა ადამიანებთან შეხვედრასთან ერთად, ასეთი ტურები ჩემნაირ უცხოელს აძლევს ენობრივი ბარიერის გადაღახვის შესაძლებლობას ხანდაზმულ ქართველებთან. ჩემთვის ყველაზე შთამაგონებელი იყო შეხვედრა ხანდაზმულ მომღერლებთან, რომლებსაც მანამდე არავისათვის უსწავლებიათ, საკუთარი გუნდის გარდა. ჩვენ

ისინი თითქოს საკუთარი ნიუარიდან გამოგვყავს. ერთი მაგალითი, რომელიც ცხადად მახსენდება, არის სულივო სინაურიძე – კარლის მიერ 2010 წელს მოწყობილი ტურის ერთ-ერთი პედაგოგი. ორი კვირის შემდეგ, ის ათი წლით უფრო ახალგაზრდად გამოიყურებოდა, ვიდრე ტურის დასაწყისში. მისი აღფრთოვანება მშვენიერი სანახავი იყო. კიდევ ერთი უპირატესობა, რომელსაც არ შეხებიხართ: არის საერთაშორისო ქსელის ასპექტი. როდესაც ტურზე ჩავდივარ და არ ვიცნობ არცერთ სხვა მონაწილეს, ან, შესაძლოა, ვიცნობდე ერთს ან ორს, ყოველთვის ამაღლვებელია იმაზე ფიქრი, თუ ვინ არიან სხვა მონაწილეები, ან როგორ მღერიან, დავმეგობრდებით თუ არა და ა.შ. ესეც ერთ-ერთი მიმზიდველი ფაქტორია. მთელ მსოფლიოში არის ადამიანთა ერთგვარი ქსელი, ვინც ამ სამყაროს ნაწილია და აქვს კავშირი საქართველოსთან. მათ უმეტესობას ერთმანეთთანაც აქვს კავშირი. ტურები ამ ყველაფერს მოიცავს.

**ქერთლაინ ბითელი:** კიდევ ვიცი, რომ თქვენ ტურებში მონაწილეობა მიგილიათ როგორც დამოუკიდებლად, ისეუფრო დიდი ჩაგვის შემადგენლობაში, „მასპინძელის“ სხვა წევრებთან ერთად. მინდა გკითხოთ: რამდენად მნიშვნელოვანი იყო ეს ტურები თქვენი გუნდის რეპერტუარის გამდიდრებისთვის და, ასევე, „მასპინძელის“, როგორც ანსამბლის განვითარებისთვის ლონდონში?

**ჯეფ ბარტონი:** მე ვიტყოდი, რომ ბოლო დროის ტურებში ვიყავი „მასპინძელის“ ერთ ან ორ წევრთან ერთად. არა მგონია რაიმე მნიშვნელოვანი განსხვავება ყოფილიყო. ვფიქრობ, გამსხვავება ისაა, რომ ამ ადამიანებმა ახლა შეიგრძეს საქართველო და ეს მათ უფრო სრულ წარმოდგენას უქმნის იმის შესახებ, თუ საიდან მოდის სიმღერები, უფრო მეტად ესმით კულტურა. რაც შეხება ტურებს „მასპინძელის“, როგორც გუნდის მონაწილეობით, ჩვენ გვქონდა ვორქშოფები ლევნი აბაშიძესთან 2006 წელს. ვფიქრობ, ჩვენ პირველი ჰაგვი ვიყავით ბუკისციხეში მაღაზი ერქვანიძესა და „სახიობას“ წევრებთან ერთად. იმ ტურებმა, სადაც ერთად ვიყავით, ყველა ჩვენგანზე უზარმაზარი გავლენა მოახდინა, რადგან მაშინ საერთო რეპერტუარი და გამოცდილება გვქონდა და, ცხადია, ამ სიმღერებიდან ზოგიერთი პირდაპირ ჩვენს რეპერტუარში შევიდა.

**ქერთლაინ ბითელი:** თქვენი, როგორც ტურების მონაწილის, აზრით, როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები? ხომ არ გსურთ გაგვიზიაროთ რაიმე იდეა, თუ რისი დამატება იქნებოდა კარგი იმაზე რაც დღემდე არის?

**ჯეფ ბარტონი:** ვფიქრობ, ჩემი შეშფოთების ერთ-ერთი საგანია ერთგვარი მონოპოლიზაცია. თუ ქართული სიმღერის უცხოელ შემსრულებელს შეხვდებით და აქარულ სიმღერებზე ჰკითხსავთ, დიდი ალბათობით, ის სიმღერები, რომლებიც მან იცის, მერისულია. იმის გამო, რომ თურმანიძეები წარმატებულები არიან და საქმე აწყობილი აქვთ, ჩაგუფები სტანდარტულად იქ წავლენ. ამგვარად, ისინი სიმღერებს სწავლობენ თურმანიძეებისგან, მაგრამ არავინ სწავლობს სიმღერებს სხვასოფლებში ან სხვა ჩაგუფებისგან. იგივე შეიძლება ითქვას რეგიონების უმრავლესობაზე, სადაც მასპინძლები წარმატებულები არიან. მათი სანინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ ეს გავლენას ახდენს რეპერტუარზე, რომელსაც ხალხი სწავლობს. ამაში ვხედავ პატარა რისას, არც თუ სასურველის.

**ქერთლაინ ბითელი:** როგორც ვიცი, ზოგიერთი ადგილი დაჟავშნილია ჩაგუფების მიერ ერთმანეთის მიყოლებით. ახლახანს ვიყავი ტურში ბელგიელებთან ერთად, ჩვენ ფეხდაფეხ მივყვებოდით ფრანგების ჩაგვს, რომელსაც ზოე ხელმძღვანელობდა. ისინი იყვნენ ღაბუშში და შემდეგ ჩვენ ვიყავით ღაბუშში, ისინი იყვნენ მერისში და შემდეგ ჩვენ ვიყავით მერისში. როგორ ფიქრობთ, წელს კიდევ რამდენი ჩაგვი მოვა ჩვენს შემდეგ? მეორე მხრივ, როცა ნინოს ტურში

ვიყავი იგნისში, წავედით ოლადაურში და ვიმუშავეთ ავთო დარჩიძესთან. ასე რომ, ზოგჯერ ადამიანები სხვადასხვა ადგილას მიდიან. ლევან ბითაროვი აქ არის? მე ავიღე მისგან ინტერვიუ გასული კვირის დასაწყისში, სადაც ის საუბრობს იმაზე, თუ როგორ უყვარს ყოველ ტერზე ახალ ადგილას წასვლა და ძალიან საინტერესოა ახალ ოქახთან ან სოფელში დარჩენა, სადაც მანამდე არ ყოფილხარ. ისინი იმ მომენტში, სპონტანურად სწავლობენ ყველაფრის გაკეთებას. ამაში მართლაც არის რაღაც, რაც ძალიან კარგად მუშაობს, თუნდაც, ეს ცოტა არსრულყოფილი იყოს პირველ ტერზე.

**ჭედ ბარტონი:** ვფიქრობ, კარლსაც იგივე მიდგომა აქვს. მას მოსწონს, რომ ჰყავდეს ერთი სანდო ადამიანი, რომელსაც იცნობს და მას შეუძლია დაეყრდნოს და სხვა, რომელსაც ნამდვილად არ იცნობს და ცოტა უფრო სარისკოა, რათა ყველაფრი ახალი იყოს.

**ქეროლაინ ბითელი:** ორ განსხვავებულ ადგილას წასვლა ნიშნავს, რომ სხვადასხვა ადამიანს განსხვავებული რამ მოეწონება. თუ ერთი, რაღაცაირად, არც ისე წარმატებული გამოვა, მეორე იქნება კომპენსაცია. ორგანიზატორებმა უნდა იფიქრონ, როგორ იმუშავებს ეს მონაწილეებისთვის. ეს არის ის, რაც მე უფრო დეტალურად შევისწავლე და მოუთმენლად ველი როდის დავწერ ამის შესახებ.

**ქეროლაინ ბითელი მარინა დექრისტოფოროს:** ახლა გადავალ მარინასთან, რათა შემდეგ ზოგადი დისკუსიის დრო გვექნდეს. მარინა, კიდევ ერთხელ, თქვენ გაქვთ შეხედულებები ამ თემაზე, როგორც ანთროპოლოგება და ექიმება. სხვათა შორის, შესანიშნავი დისერტაცია გქონდათ: წაიკითხეთ მისი დისერტაცია, ის ნამდვილად კარგია. როგორც ტურის ორგანიზატორსა და ტურის მონაწილეებს, იმის საფუძველზე, რაც დისერტაციაში დანერე და რაზეც ფიქრობდი მას შემდეგ, ამ ფენომენის რომელი ასაკეტები მიგარის ყველაზე საინტერესოდ ანთროპოლოგიური თვალსაზრისით?

**მარინა დექრისტოფორი:** გმადლობათ რეკომენდაციებისთვის. მინდოდა წინა დისკუსიაში რაღაც დამემატებინა, რადგან თქვენ ახსენეთ ლევანი და მე მასთან ვმუშაობდი. პირველი ტური მან გააკეთა ჩემთან და „ადილეისთან“ ერთად. როცა, როგორც მკვლევარი, პირველად ჩამოვედი საქართველოში, დავუმეგობრდი ამ ჯუფს და დავდიოდი იქ, სადაც ისინი მიდიოდნენ. მათ სურდათ სიმღერების სწავლა, ან სურდათ, ენახათ, კარგი იყო თუ არა ესა თუ ის მომღერალი, რომლის შესახებ გავონილი ჰქონდათ და უნდოდათ მასთან სტუმრობა. ჩენ შევეცადეთ, მსურველთა რაც შეიძლება დიდი ჯუფი შეგვექმნა. ეს იყო ჯუფთან ერთად მოგზაურობა და, არსებითად, განსხვავებული გამოცდილება, მაგრამ ეს არ იყო გამართლებული, რადგან, მახსოვს, ქვემო სვანეთის ერთ სოფელში, სადაც ეს ჯუფი ჩავიყანეთ, მანამდე სტუმრები არასდროს მიუღიათ და ზოგიერთ მათგანს საშაპეც კი არ ჰქონდა. ლევანს კინადამ გულის შეტევა დაემართა, როცა ეს ჩენი ჩასვლის დღეს გაიგო, მაგრამ დანარჩენებს ეს ნამდვილად არ აინტერესებდათ. მათ თქვეს: არა, შესანიშნავია, რადგან ცოტა ჭაჭა უკვე ჰქონდათ დალეული... ჩემი აზრით, ეს იყო რისკი, რომლის თავიდან ასაცილებლად ჩვენ თვითონ უნდა ზავსულიყავით და ადგილები წინასწარ გადავვემოწმებინა, რომ არ ყოფილიყო მომენტი: „შაპი არ არის“.

ჩავთვალით, რომ ეს იყ უბრალოდ ანეკდოტი. როგორც ანთროპოლოგს, მე ნამდვილად მაინტერესებს საზღვრების საკითხები. არსებობს ზღვარი რაღაც პრაქტიკასა და პროდუქტს შორის, ვიდაც ტურისტსა და სტუმარს ან მეგობარს შორის. როდის ხდები ერთი ან მეორე? განსაზღვრავს თუ არა ამას ფული? თუ ვინმეს მეგობარი ხარ, ისინი, ალბათ, არ მოელიან თქვენგან ფულის გადახდას, თქვენ უბრალოდ სტუმარი ხართ. მაგრამ თუ სტუმრობათ როგორც ტურისტი, მაშინ ალბათ უნდა გადაიხადოთ. ეს არის ერთი ასპექტი. მე ყოველთვის მაინტერესებს სასიმღერო ტური, სადაც ყველა მღერის და ცდილობს ისწავლოს. მონაწილეებს

შორის არსებობს სხვადასხვა გამოცდილება. რა თქმა უნდა, მასპინძლებს შორისაც არსებობს განსხვავებული პრაქტიკა. ხანდახან ეს ძალიან კონკურენტუნარიანია: მაქს რაღაც, რასაც ვყიდი, ეს ჩვენი დროისა და მდგომარეობის პროცესებია და რადგან ზაფხულში ამდენი ხალხი მოდის, თქვენ უნდა სცადოთ და დაარწმუნოთ ეს ხალხი, რომ თქვენთან მოვიდნენ.

მაგრამ რეალური მონაწილეების გამოცდილება ასევე განსხვავდება, ხომ ასეა? ზოგიერთი ადამიანი იქ არის, როგორც მომხმარებელი: იხდის ბევრ ფულს, სურს, ისნავლოს სიმღერები, მიიღოს გარკვეული გამოცდილება. ზოგიერთები კი არიან მხოლოდ იმიტომ, რომ უბრალოდ დატყვევები დროით და მეგობრებთან ერთად ყოფნით. მე ვყოფილვარ ტურებში, სადაც ვსწავლობდით სიმღერებს იოდლით და ხუთი ადამიანი ერთდროულად მღეროდა; ბოლოს და ბოლოს, ვერავინ ისწავლა სიმღერა, რადგან იქ სუფერვა განწყობა – ეს ის პარტია, რომელსაც მე ვმღერი და ამიტომ ვიმღერებ მას მაშინაც კი, თუ ვინმე ამას უკვე აკეთებს. სულაცარ დაველოდები ჩემს რიგს. არ დავდები, უბრალოდ, მოსასმენად და ჩანაწერის გასაკეთებლად, რომ მოგვიანებით დაველაპარაკო მასწავლებელს ან ვთხოვო ვინმეს ჩემთან ერთად იმღეროს. ეს უფრო მეტი ძალისხმევაა, მე მესმის, საიდან მოდის ეს. მაგრამ ამან შეიძლება ძალიან უარყოფითი გავლენა მოახდინოს სწავლის ხარისხზე – ვერავინ შეძლებს ისწავლოს, რადგან იმდენად არის ყველა ორიენტირებული საკუთარ ხმაზე, რომ მასწავლებელს აღარ უსმენენ. ზოგჯერ, თუმცა არა ყოველთვის, მე თითონ ვყოფილვარ ასეთ მდგომარეობაში. უნდა ვთქვა, რომ არასოდეს მიმაჩინდა თავი მომღერლად – ვმღერი მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში. მე აქ ვიყავი, როგორც ანთროპოლოგი, როგორც მკვლევარი, მაგრამ, ასევე, უმეტესწილად, მჭირდებოდა იმის მტკიცება, რომ სიმღერა შემიძლია, იმისათვის, რომ სერიოზულად მივეღუ. თუ დავფიქრდები, შემეძლო, ვყოფილიყავი ძალიან კარგი მკვლევარი ისე, თუნდაც არ შემძლებოდა სიმღერა. თუმცა, აქ, რა თქმა უნდა, სხვა მომენტია: ერთად მდერის ფაქტი რაღაც განსხვავებულია, ის გეხმარება ენობრივი ბარიერების გადალახვაში, ადამიანებთან უფრო ადვილად და სხვა დონეზე კომუნიკაციაში, მაგრამ იმისთვის, ვინც სიმღერის სოციალურ მხარეებს აკვირდება, ეს არის არა აუცილებლობა, არამედ ასპექტი: ოპ, აქ ვართ, ჩვენ ყველანი უცხოელები ვართ – ეს მართლაც უცნაური ტერმინია – არსებობს ჩვენ და ისინი, სწორედ აქ შემოდის „სხვა“ სახის დისკურსი. ჩვენ, ასევე, ცოტა ვეჯიბრებით ერთმანეთს, ხომ ასეა? ეს ადამიანური თვისებაა და ბევრი ადამიანი ცდილობს მისგან გათავისუფლებას, მაგრამ თქვენ მაინც ადარებთ: ოპ, ეს ადამიანი არც ისე კარგად მღერის, ან ის აცდენილია, ან სხვა. ასევე, ძალიან მაინტერესებს, რა არის ეს პრაქტიკა მონაწილე ადამიანების თვალსაზრისით. არ ვიცი, აქს თუ არა ამას აზრი. რა თქმა უნდა, ბევრი თვალსაზრისია და ბევრი სათქმელი.

**ქერთლაინ ბითელი:** თუ ისევ მასპინძლებს დავუბრუნდებით – ცოტა რამ უკვე თქვით მასპინძლების პერსპექტივებზე ან მოტივაციებზე – ერთ-ერთი რამაც გამაკვირვა თქვენი დისერტაციის კითხვისას, იყო კითხვა: არის თუ არა სიმღერის ასეთი პრაქტიკა გლობალური კაპიტალისტური ეკონომიკის ნაწილი. თქვენ საუბრობდით იმაზე, თუ რა როლს თამაშობს ავთენტიკურობის პრეტენზია მოწოდებული გამოცდილების კონკურენტუნარიანობაში და განსხვავებაზე საბაზრო და არასაბაზრო ადგილებს შორის.

**მარინა დექრისტოფორო:** ჩვენს საქმიანობაში ყველაფერს მოდელის მიხედვით ვაწყობთ. ადამიანებს აქვთ მასპინძლობის სხვადასხვა მოდელი და ისინი განსხვავდებიან იმის მიხედვით, თუ სად მასპინძლობენ ხალხს – გაფანტულები არიან სოფლის მოსახლეობაში თუ საოჯახო სასტუმროში ცხოვრობენ; ოჯახის რა ნაწილია

ჩართული – ერთი ადამიანი თუ ყველა; რამდენად ღიაა მათი სიცრცე ზოგადად? და ამის რამდენიმე განსხვავებული გზა არსებობს. მაგრამ კაპიტალისტური ბაზრის პერსპექტივიდან, ვფიქრობ, რომ ეს დასაფიქრებელი კითხვაა, რადგან ეს არის ტურისტული ეკონომიკის ნაწილი, მიბმული კაპიტალისტურ ეკონომიკაზე, რომელშიც ჩვენ ყველანი ვცხოვრობთ; საქართველოში განხორციელდა კაპიტალისტურ ეკონომიკაზე გადასვლა. ასე რომ, ეს არის ის, რასაც ჩვენ ახლა გავდივართ. ზოგი ჩამოდის განსაკუთრებული მოლოდინით პირობებთან დაკავშირებით და ეს შეიძლება იყოს მომსახურების გაცვლა ფულზე. უფრო გასაგებად – მე მოვდივარ, გთავაზობ ფულს, შენ მასწავლი სიმძლერებს. მაგრამ, ჩემი აზრით, ყველა მასპინძელი და ყველა ორგანიზატორი ამას მკაცრად გააპროტესტებს. ეს ის არაა, რის გაკეთებასაც თქვენ ცდილობთ. თქვენ ცდილობთ, რაღაც განსხვავებული შესთავაზოთ. ვფიქრობ, რომ ადამიანები ცდილობენ, რომ ეს რაღაც, როგორც მადონამ თქვა, სოციალურ პროექტად აქციონ, ჩართონ თემი, თანხები გამოიყენონ იმისთვის, რომ ეწვიონ ხანდაზმულ მომდერლებს, აღმოაჩინონ ახალი ადგილები, შეკრიბონ ხალხი – ჰქონდეთ ყველა სხვა ელემენტი. მაგრამ, არის შესაძლებლობა, თუ ყველაფრის სისტემატიზაციას მოვახდეთ და ერთგვარ პროგრამულ გზაზე დავაყენებთ, რომ ეს გახდეს მომსახურების გაცვლა ფულზე, საარჩევნო ხმებზე ან სხვარამეზე. ეს მხოლოდ ჩემი აზრია. რაც შეეხება კონკურენტუნარიანობას, ამაზე საუბრისას, ძირითადად, ვგულისხმობდი, მაგალითად, კიდევ რა შეიძლება გაკეთდეს ამ ადგილას. ლამაზა? შეგიძლია ლაშერობაში წასვლა? კარგი პირობებია? მოწყობილია? რადგან, რა თქმა უნდა, ბევრად უფრო ადგილია ხალხის ასეთ ადგილას მიყვანა, ვიდრე იქ, სადაც ეს ასე არ არის. შემდეგ ერთ კვირას გაატარებ ისეთ ადგილზე, სადაც წასასვლელი არსად გაქვთ. ეს როიული იქნება... ვფიქრობ, ზოგჯერ განსხვავება არსებობს ადამიანებს შორის, რომლებიც სხვადასხვა ადგილას მიდიან, რადგან, ადამიანებს მტკიცედ უნდა ჰქონდეთ გადაწყვეტილი კონკრეტული ტიპის სიმღერის სწავლა, რომ ისეთ ადგილზე წავიდნენ, სადაც არ აქვთ წვდომა არანაირ გართობაზე ან სალაშერო მარშრუტებზე და სხვ. ვფიქრობ, ეს ხალხი სიამოვნებით წავიდოდა სხვა ადგილებში, რომლებიც უფრო მოთხოვნადია, ვციტირებ ბრძყალების გარეშე, მაგრამ სხვა ხალხიც შეიძლება წავიდეს იქ. არ მინდა ზედმეტად კრიტიკული ვიყო... ბევრი კითხვაა, რადგან ყველას სურს ავთენტიკურობის შენარჩუნება... მე არ მომწონს სიტყვა „ავთენტიკური“ რადგან ნამდვილად არ ვიცი, რას ნიშნავს.

### **ქერთლაინ ბითელი:** არჩევანი დიდია

**მარინა დექრისტოფორო:** დიახ, მაგრამ არჩევანი მაინცდამაინც არ არის.

ვინ წყვეტს რა არის ავთენტიკური? ეს მუდმივი კითხვაა. ვინ აცხადებს ამ ტურებს? ჩემი აზრით, ნამდვილად არსებობს სურვილი, რომ საქმე გაგრძელდეს და ხალხი ჩაერთოს, რაც, ვფიქრობ, ჩვენც და აქ მსხდომთა უმეტესობამაც ვნახეთ ყველასთან, ვინც ისაუბრა. ეს კარგია.

### **ქერთლაინ ბითელი:** ვფიქრობ, კარგი დროა დისკუსიის დასაწყებად, ამიტომ

დიდი მადლობა, მარინა, მადლობა ყველას, ვინც უკვე ისაუბრა. კითხვების დასმამდე, მე უბრალოდ მინდა შემოვთავაზოთ კიდევ ერთი კონცეფცია. გავმეორდები, თავის დისერტაციაში მარინა უფრო ვრცლად წერს კულტურაზე, არის თუ არა ეს პროდუქტი და ა.შ, მათ შორის სცენაზე პროფესიულ წარმოდგენებზე და არა მხოლოდ იმაზე, რაზეც ჩვენ ვსაუბრობთ. მაგრამ, არსებობს თუ არა მესამე გზა? მე ვფიქრობ, რომ ამის გათვალისწინება სასარგებლოა, როდესაც განვიხილავთ დადებით და უარყოფით მხარეებს, სარგებელსა და გამოწვევებს, იმას, რომ არსებობს ამდენი განსხვავებული მოდელი, განსხვავებული შესაძლებლობები და მრავალფეროვნება, რომ ადამიანები მიდრეკილი არიან, ადრე თუ გვიან, იპოვონ საკუთარი გზა,

რომელიც მათთვის იმუშავებს. ასე რომ, ამ შენიშვნასთან დაკავშირებით, მივმართავ აუდიტორიას, დასვას ნებისმიერი შეკითხვა ან გააკეთოს კომენტარი.

**ფრანკ შერბაუმი:** მინდა დავსვა კითხვა მასპინძლების მისამართით. თუმცა, როგორც სტუმარმა და ბევრი ტურის მონაწილემ, შემიძლია ვუპასუხო ამ კითხვას ჩემი გადასახელიდან. როცა ტურიდან ვბრუნდები, სულ მენატრება რაღაც და ვეკითხები საკუთარ თავს, რა მენატრება სინამდვილეში და რატომ მენატრება, როცა აქ არ ვარ? საკუთარი გამოცდილებიდან ვიცი, როცა ვბრუნდები, ისე მხვდებიან, როგორც ოჯახის წევრს. მაგალითად, მადონას ოჯახი ჩემს ოჯახად მიმართია. მადონა, მინდა, თქვენ გკითხოთ, რა გენატრებათ ჩვენი წასვლის შემდეგ? შეგიძლიათ დააკონკრეტოთ?

**მადონა ჩამგელიანი:** მადლობა ფრანკ, მართლაც ასეა, ჩვენთან ტურის პირველ დღეს ყველა უცხოა, ბოლო დღეს კი ისინი მიდიან, როგორც ჩვენი ოჯახის წევრები. ეს განშორება განსაკუთრებით ძნელია, თითქოს სოფელი იყლება. მერე კი ვისენებთ სოფლელები ერთმანეთში: ვინ როგორი იყო, წითელ თმიანი ქეროლაინი როგორ იქცეოდა და გვენატრება ხოლმე. არ ვიცი, სხვაგან ეს როგორ ხდება ხოლმე, ძალიან კარგია, მაგალითად, მერისიც და ლენქერიც, მაგრამ, მე ვფიქრობ, რომ „ლაბუშდი“ სხვა პროექტია. თუ სხვაგან ეს არის ერთი ოჯახური ბიზნესი, „ლაბუშდში“ ამ საქმეში მთელი სოფელია ჩართული. მაგალითად, დილაობით ჩემი სტუმარი შეიძლება სხვასთან წავიდეს სასაუბროდ, ანუ როტაციები მოხდეს და ეს ბუნებრივია. ჩვენს სტუმრებს ხშირად უთქვამთ: „ასე გვგონია, ჩვენი ბავშვობის სოფელში ვბრუნდებითო“. ეს მართლაც დაბრუნებასავით არის, არც ჩვენ ვთამაშობთ და არც ჩვენი თანასოფლელები. ყველას იღებენ, როგორც სტუმარს და არა, როგორც ტურისტს. სწორედ ეს გენატრებათ ალბათ თქვენც და ჩვენც.

**ნინო ნანეიძვილი:** როდესაც ჩემი სტუმრები მიდიან, ყველაზე მეტად მენატრება იმის განცდა, რომ ჩვენ გვჭირდება მეტი ფიქრი ერთმანეთზე... ეს ძალიან რთულია, რადგან, არ ვიცი, საიდან მოდის, შესაძლოა, საქართველოში არსებული სიციალური და ეკონომიკური პრობლემებიდან. შესაძლოა, თქვენ, როგორც სტუმრებს, გვრიათ, რომ ჩვენ ვართ ყველაზე სტუმართმოყვარე ქვეყანა, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში სხვანაირი ურთიერთობებია. ზოგჯერ ჩვენს საუკეთესო მეგობრებს თვეების განმავლობაში ვერ ვხვდებით, რადგან, ჩემი აზრით, ყველგან ცხოვრების გიყერი რიტმია. მაგრამ, ვფიქრობ, რომ ჩვენ უნდა ვისწავლოთ თქვენგან, უცხოელებისგან და არა მარტო უცხოელებისგან – თქვენნაირი ადამიანებისგან, რომლებიც სავსე ხართ ჰარმონიით, ცდილობთ, იყოთ განონასწორებული და ა.შ. თქვენ იცით, რასაც ვგულისხმობ. ჩვენ უნდა დავიტიროთ ეს გრძნობა და საკუთარ თავში შევინარჩუნოთ. ასევე, მინდა ვთქვა ერთ საოცარ ოჯახზე კემბრიკიდან. ეს ეშლინი და მირანდაა... როდესაც მათ ვსტუმრობდი რამდენიმე წლის წინ (არ მახსოვე აღდგომის თუ შობის პერიოდში), ბოლო დღეს მირანდამ ჩანთაში ფული ჩამიდო: სოლიდური თანხა და მითხრა, გთხოვ, გიგის ოჯახს გადასცეო. ძალიან გამიკვირდა. უარს ვერ ვიტყოდი, რადგან ეს ჩემი არ იყო, მაგრამ ძალიან უჩვეულო გრძნობა დამეუფლა. ვკითხე – როგორ, რატომ და რა ვუთხრა? მიპასუხეს: „მათ იციან ამის შესახებ. 10 წელზე მეტია, რაც ამას ვაკეთებთ, მთელ შემოსავალს ჩვენი კონცერტებიდან საქართველოში ვაგზავნით“. მახსოვეს, ავტორდი და ვკითხე, როგორ აკეთებენ ამას და საიდან მოდის ეს, რადგან, სამწუხაროდ, ასეთი რამ სულ უფრო და უფრო ნაკლებად ხდება ჩვენს ქვეყანაში. და მათ საოცარი რამ მითხრეს: „ეს ვისწავლეთ თქვენგან, ქართველებისგან“. ამის მოსმენა ჩემთვის ძალიან სასიამოვნო იყო... და ძალიან მინდა, რომ ჩემთვის და ჩემი ქართველი მეგობრებისთვის ეს ღირებული იყოს, რადგან ვიცი, რომ უცხოელებისთვის საქართველო გარედან უფრო ლამაზია, ვიდრე სინამდვილეშია. ბოდიში, რომ ამას ვამბობ, მაგრამ ეს ჩემთვის

ძალიან მტკიცნეულია. ძალიან ბედნიერი ვარ და ჩემთვის დიდი პატივია, რომ ყოველზოურად აქ ბრუნდებით. ეს იმას ნიშნავს, რომ რაც ეშლინმა და მირანდამ მითხრეს, სიმართლეა, აქ თქვენ პოულობთ ისეთ ღირებულ რამეს, რაც შესაძლოა კი არ დაგვიკარგავს, არამედ მიგვავიწყდა.

**ქროლაინ ბითელი:** დიდი მადლობა ამის გაზიარებისთვის. ვფიქრობ, ბაიამ ყველას დაასწრო ხელის აწევა.

**ბაია ჟუჟუნაძე:** გმადლობთ. ვეთანხმები თქვენს განცხადებას და, ასევე, მარინას. ჩემი კითხვები მარინას შემოთავაზებიდან მოდის. ასევე, კითხვები მაქვს ნინოსთან, მადლონასთან და ზოესთან. მაინტერესებს, ვიხილავთ თუ არა ყველა ამ მოგზაურობას და ვითხოვთ თუ არა უკუკავშირს მომხმარებლებისგან? გვაქვს ამის პრაქტიკა? რადგან, დასამალი არ არის, რომ ქართველები გამოხმაურებას და კრიტიკას დიდად არ დაგიდევენ. ზოგ ნაწილობრივ ინსაიდერია და ნაწილობრივ აუტსაიდერი. მინდა ვკითხო, თუ აანალიზებს, რა პლიუსები და და მინუსები აქვს მუსიკალურ ტურიზმს საქართველოში და რა უნდა გაუმჯობესდეს ან შეიცვალოს?

**ნინო ნანეიშვილი:** ახლახან დავიწყე ჩემი უცხოელი მეგობრების ელექტრონული წერილების შეგროვება და ვოცნებობ, რომ ერთ დღეს – ალბათ, როცა უფრო ასაკოვანი და თავისუფალი ვიქები – გამოვცე, რადგან ეს ნამდვილი მემკვიდრეობა... მათში საოცარი იდეებია ქართულ მუსიკაზე და არა მხოლოდ პირადად ჩემზე ან ვინმე სხვაზე.

**ბაია ჟუჟუნაძე:** მე ვიკითხე, მაგალითად, თუ გაქვთ კითხვარის რაიმე ფორმა, როგორც აქვთ, მაგალითად Booking-ს, Airbnb-ს ან TBC-ს მომხმარებლის უკუკავშირისთვის. თუ ისინი ამას აკეთებენ, უბრალოდ, შეეცადეთ, თქვენც გააკეთოთ გამოკითხვის მსგავსი ფორმები.

**ზოე პერე:** მე არ მაქვს ოფიციალური კითხვარი ან მსგავსი რამ, მაგრამ ყოველი ტურის ბოლოს, მე ყოველთვის ვეკითხები, რა მოეწონათ, რა შეიძლება გაუმჯობესდეს... ესაა მსჯელობა და ერთგვარი მრგვალი მაგიდა ტურის ბოლოს. მინდა ვთქვა, რომ სარგებელი მეტია, ვიდრე რისკი, და, ზოგადად, დადებითი მხარეები უფრო მეტია, ვიდრე უარყოფითი. მართალია, ზოგიერთ ადგილებს სტუმრების მიღების უფრო ხანგრძლივი ისტორია აქვთ... რომ დავუბრუნდეთ ჯეფის სიტყვებს, მართალია, რომ ზოგიერთ ადგილს უფრო მეტი სტუმარი ჰყავს, ვიდრე სხვას... 10 წელია ამ საქმეს ვაკეთებ... ვფიქრობ, ყველა ჰაგუფი განსაკუთრებულია... 10-წლიანი საქმიანობის შემდეგ, კიდევ იმდენი ადგილია აღმოსაჩენი... თუმცა, ხშირად ერთსა და იმავე ადგილებში დავდივარ, რადგან ადამიანები ვერ აცნობიერებენ, რომ ახალ ადგილებზე საინტერესო გამოწვევები შეიძლება ელოდებოდეთ... უფრო მეტ მომღერალს მოვუწოდებდი ამ საქმიანობისკენ... რადგან, ხალხი იძენს განსაკუთრებულ გამოცდილებას და როცა სახლებში ბრუნდებიან, ენაწრებათ ეს ყველაფერი, ასევე, ენაწრებათ ერთმანეთი... ეს არის ის, რაც ყოველდღიურ ცხოვრებაში გვაკლია, ის, რასაც ჩვეულებრივ არ განვიდით... რაც შეეხება ზოვარს ტურიზმსა და სტუმარს შორის, მიმართია, რომ ეს ადამიანები, მთელი ცხოვრების მანძილზე მიმდინარე უწყვეტი სწავლის პროცესის მონაწილეები არიან... ისინი აქ ჩამოდიან, რომ ისწავლონ ქართველებისგან და, ასევე, ისწავლონ ერთმანეთისგან... ვორქშოფის ჩემეული ფორმა ახლა უფრო მეტად არის დაკავშირებული სწავლის პროცესთან, ადამიანებთან უფრო მეტი კავშირების დამყარებასთან.

**ნინო რაზმაძე:** მე ფაქტობრივად ყველას ვიცნობ, ვინც საქართველოში ატარებს ვორქშოფებს და მასპინძლობს მათ, მაგრამ ჩემთვის „ლახუშდი“ მართლაც ყველაზე განსაკუთრებული სოციალური პროექტია, ამიტომ, პირველ რიგში, მინდა მადლობა ვუთხრა მადონას. მიმართია, რომ ის ყველაზე გასაკუთრებულია და

ვფიქრობ, რომ ყველა დანარჩენმა მისგან უნდა აიღოს მაგალითი. ასევე, დავამატებ მერისთან დაკავშირებით, ახლა ამოვაჩინე, რომ თურმე არასოდეს არ მქონია ტური, მაგრამ მე მაქვს ცოტა სხვა გამოცდილება პოპულარიზებაზე ძალიან აქტიურად ვმუშაობდი. 10 წლის განმავლობაში მერისის პოპულარიზებაზე ძალიან აქტიურად ვმუშაობდი. მე არასოდეს მქონია ფინანსური ინტერესი ამ თვალსაზრისით და ყოველთვის ვცდილობდი, დამერჩმუნებინა ისინი, რომ, შეიძლება, არსებობდეს ვილაც, ვისაც არ აქვს არანაირი ფინანსური ინტერესი, უბრალოდ დაინტერესებულია ამ სოფლის პოპულარიზებით. არ ვიცი ეს როგორ გამომივიდა, მაგრამ ძალიან ვცდილობდი.

პირველად მერისში კარლ ლინიქის ჯგუფი ჩავიდა; შემდგომ კარლის ჯგუფის წევრებმა გააკეთეს იქ ვორქშოფები; შემდეგ ზოე ჩაერთო ამ პროცესში ძალიან აქტიურად.

რეპერტუარის სიმინირესთან დაკავშირებით, ვისურვებდი, იყოს მეტი პრაქტიკა სხვა მომდერლების მოწვევისა. კარლს ჰქონდა ძალიან კარგი პრაქტიკა: როდესაც ის მიდიოდა სვანეთში, მიჰყავდა გურული მომდერალი ტრისტან სიხარულიძე, მეგრელი პოლიკარპე ხებულავა. პოლიკარპე მერისშიც ჰყავდა. მერისში ჩვენ ვცადეთ მეჭიბონების ჩართვა, ესეც ძალიან საინტერესო იყო. მადლობა ნინოს, რომ თურმანიძეების გარდა კიდევ სხვებიც, მაგალითად, დარჩიძეების იჯახიც უფრო პოპულარული გახადა. აღსანიშნავია, რომ ფრანკთან ერთად ჩვენ გვქონდა მცდელობა ჭვანაში ვორქშოფის ჩატარებისა.

საბოლოო ჟამში, მინდა ვთქვა, რომ ჩვენმა მხარემ, ანუ ორგანიზატორებმა ძალიან ბევრი უნდა იმუშაონ და მუშაობენ კიდეც, რომ რეპერტუარი იყოს უფრო მრავალფეროვანი, ჩამოსულ უცხოელებს ჰქონდეთ უფრო მეტ ახალ ადამიანთან შეხვედრის გამოცდილება. მადლობა მინდა ვუთხრა ქართველებსაც და უცხოელებსაც ამ ყველაფრის პოპულარიზებისთვის და ბოლოს მაინც იმით დავამთავრო, რაც მადონამ აღნიშნა, რომ, მთავარი მაინც არის არა ის, თუ რამდენ ახალ სიმღერას ისწავლიან, არამედ ეს ურთიერთობები, რომლებიც თუნდაც 15 წლის შემდეგაც მირანდას და ეშლის ადლევს მოტივაციას, რომ ისევ იყონ ასეთ ურთიერთობებში თავისეართველ მეგობრებთან. მოკლედ დიდი მადლობა დღევანდელი საუბრისთვის.

კიდევ ერთი კითხვა, კონფერენციაზე გვქონდა შესაძლებლობა, მოგვეწვია 2 მომღერალი ვორქშოფის ჩასატარებლად, გვსურს გყითხოთ, რა აზრის ხართ ამის შესახებრომშემდეგს იმპონირების განმავლობაში მეცნიერებისთვისაც მოვაწყოთ ვერქშოფები.

**ქერთლაინ ბითელი:** ვფიქრობ, შესანიშნავი იქნება! ნინო, მადლობა მონაწილეობისთვის.

ერთ-ერთი, ნამდვილად მნიშვნელოვანი ჩემთვის არის ის, რომ უმთავრესი არის ინციდუალური ინციდუალური მოდის პირდაპირ წყაროდან და კონტაქტების უმეტესობა ხდება პირადი კონტაქტების მეშვეობით. ამას არავინ აკონტროლებს, არავის უწევს რაიმე ტესტის გავლა და ვფიქრობ, რომ ამაშია ამ სახის ფენომენის ძალა.

**ჰოლი ტეილორი:** მინდა გავაერთიანოთ რამდენიმე თემა – ფრანსნაციონალურობის ამ იდეისა და, ასევე, იმის შესახებ, რომ ტური მზადდება თვით ტურში მონაწილე ადამიანების მიერ... შეგიძლიათ გადაიხადოთ ფული, შეგიძლიათ ტურზე წასვლა: არ არსებობს კითხვები იმის შესახებ, თუ როგორი ხმა ან გამოცდილება გაქვთ.... რეგულაცია კარგი იქნება თუ ცუდი?

**ქერთლაინ ბითელი:** საინტერესო განსხვავება ტურების შემადგენლობაში. ზოგ ტურში, რომელშიც 25 ან 30 მონაწილეა, სხვადასხვა კომბინაციების ბევრი ვარიანტია ხმების ერთმანეთთან მორგებისთვის. ზოგიერთ პატარა ტურში, ხალხი

ამისთვის არ ჩამოდის: ისინი იქ სხვა მიზეზების გამო არიან. საქმე იმაშია, რომ ვილიკ ჰარმონიში აუდიცია არ უნდა გაიაროთ, მაგრამ მათთვის მნიშვნელოვანია ხმების ბალანსის დაცვა, ასევე, გეკითხებიან, თუ რა მუსიკალური გამოცდილება გაქვთ, თუ გაქვთ ნოტებიან კითხვის უნარი, რამდენი ხანია მღერით, რომელ ხმას მღერით, ზოგჯერ მათ ნამდვილად სურთ, მაგალითად, მეტი მამაკაცი მონაწილე, და ასეთ შემთხვევაში მცირეა ბალანსის მიღწევის შანსი.

**ჰეფ ბარტონი:** კარლსაც ყოველთვის სურს, რომ მის ტურში მონაწილეებს ქართული მუსიკის სიმღერის გამოცდილება ჰქონდეთ. იმ ადამიანებზე, რომლებსაც არ იცნობს, ის ეკითხება საერთო ნაცნობებს... ამგვარად, ეს არის ერთგვარი არაფორმალური გადამოწმება.

**ქეროლაინ ბითელი:** საინტერესოა, რომესორივეშემთხვევა მომღერლებისთვის საკმაოდ რთულია, რადგან მათ ძალიან სწრაფად უნდა ისწავლონ ბევრი სიმღერა და, მაგალითად, ვილიკ ჰარმონის შემთხვევაში, პირდაპირ უნდა გამოვიდნენ კონცერტებზე, უნდა იცოდნენ სიტყვები და მუსიკა, დაგნენ სცენაზე და იმდერონ. ეს არის დიდი მოტივაცია რეალურად ჩაღრმავებისთვის, მაგრამ, ამავე დროს, საკმაოდ რთული გამოწვევა.

**ჰენელოპე გონსალესი:** ჩემი პირველი კითხვაა სამეცნიერო და კულტურული ტურიზმის შესახება და მეორე, თუ არსებობს რაიმე სახის ეთიკური კოდექსი?

**ქეროლაინ ბითელი:** შემიძლია გიპასუხოთ ისევ ვილიკ ჰარმონის პერსპექტივიდან. ინფორმაცია, რომელსაც წინასწარ აგზავნიან, შეიცავს რჩევებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოიქცეთ კარგად საქართველოში, ასევე ადგილობრივ წეს-ჩვეულებებზე და ა.შ. ეს, თავისითავად, არა იმდენად ეთიკური კოდექსია, მაგრამ, ველით, რომ ადამიანი თავაზიანად მოიქცევიან, თუ ამას გულისხმობდით. მარინა, გურუთ კომენტარის გაკეთება?

**მარინა დეერისტოფორო:** მე გარეშე პირი ვარ... ამდენად, ჩემი როლი ძირითადად კულტურული კონტექსტის ახსნა და უზრუნველყოფა იყო. ტურის წინ ჩვენ ყოველთვის ვაგზავნიდით რაღაცას... და შემდეგ მე ვხდებოდი ყველას, რაღაც საკითხების განსახილველად. კარლიც აგზავნის რაღაცას, და ვფიქრობ, ბევრი სხვა ადამიანიც, მათ შორის, ზოეც... ინსტიტუციური ჩართულობის კუთხით, ვფიქრობ, გვამუქრება საბჭოთა ტერიტორიაზე გადახვევის საფრთხე. ჩემი აზრით, პრაქტიკაში უკვე არის დიდი ინსტიტუციური ჩართულობა, ანსამბლების მხრივ და ა.შ. კარგია, როდესაც ეს თავისითავად ხდება. ხმები ვრცელდება, ასე რომ, თუ ვინმე რამე საშინელს ჩაიდენს, ამის შესახებ ყველა გაიგებს. მე ვფიქრობ, რომ რეალურად ბევრი რამ არის ხალხისთვის შესათავაზებელი და ყველა დაკავშირებულია ერთმანეთთან.

**ქეროლაინ ბითელი:** დიდი მაღლობა. მოკლედ ვიტყვი, მოხარული ვარ, რომ მეთი გვისმენს. დიდი მაღლობა მეთ. მინდა ავღნიშნო მეთის დისერტაცია, რომელიც მართლაც შესანიშნავია. მარინას და მეთის სადოქტორო დისერტაციები შეგიძლიათ ინტერნეტიდან ჩამოტვირთოთ. იქ რამდენიმე შესანიშნავი დისკუსიაა. ზოე, რაღაცის თქმა გინდოდა, და მერე ვნახავთ თუ არის ონლაინ შეკითხვა.

**ზოე ჰერი:** კარგი იქნება, თუ ჩვენ, როგორც ორგანიზაციორებს, უფრო მეტი კავშირი გვექნება ერთმანეთთან... როგორც ჩანს, ყველას აქვს საკუთარი პირადი კავშირები და არ სურს გაზიარება.

**ჰეროლი ტეილორი:** ტურები განთავსებულია „წინაპართა ხმების“ ვებგვერდზე.

**ქეროლაინ ბითელი:** ზოგი ქსელში გიპარა, წელს თორმეტამდე შევაგროვე.

**ჰეფ ბარტონი:** არჩევანის გაკეთების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი თარიღია.

**ეკა დიასამიდე:** რაც შეეხება ვორექტოფებს, ჩემი აზრით დღეს ყველა ვსაუბრობთ

ფოლკტურიზმის მნიშვნელობაზე, რაც უდაოა. მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რატომ გვგონია, რომ მკვლევარს შეუძლია ვორქშოფების მეშვეობით რაიმე მარგალიტის პოვნა? მაგალითად, მე აქ ვხედავ სოფიას ფინეთიდან, მახსოვს, რომ ჰელსინკში XXX კონფერენციის დროს ჩვენ ჩავატარეთ რამდენიმე ვორქშოფი... ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც დღეს მოვედი, არის ის, რომ სიმპოზიუმს ნამდვილად სჭირდება ვორქშოფები, განსაკუთრებით მსოფლიო მუსიკის... ვფიქრობ, სრულიად აუცილებელია, რომ ადამიანებს შეეძლოთ, მოისმინონ და იყვნენ მსოფლიოს სხვადასხვა ხალხის ტრადიციელი მუსიკის გარემოში... მოდით, სიმპოზიუმის ფარგლებში მოვაწყოთ სიმღერის ვორქშოფები... ვფიქრობ, უფრო მეტი ადამიანი, მათ შორის ქართველები, გახალისდება და დაესწრება.

**გიორგი კრვევიშვილი:** ყურადღებით ვუშენ თქვენს მსჯელობას. ხან ფინანსური საკითხი წამოიწია, ხან აქსესუარების საკითხი და ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ მრავალხმიანობა და მუსიკა მიგვავიზყდა და მივაკარგეთ ამ მსჯელობას. ახლა რაც შეეხება ჩემს შეთავაზებას, როგორც სიმპოზიუმის ხელმძღვანელობის, ისე – ქართულ მუსიკაში კარგად ჩახედული ეთნომუსიკოლოგებისა და შემსრულებლების მიმართ: ნუ დავგეგმავთ ექცედიციებს მხოლოდ სვანეთსა და აჭარაში. რა დააშავა მაგალითად ბაია უუენაძის მშობლიურმა მესხეთმა? რომელსაც ძალიან კარგი ანსამბლი აქვს და ვფიქრობ, რომ უცხოელი ეთნომუსიკოლოგისათვის ძალიან საინტერესო იქნება მესხური ფოლკლორის გაცნობა. რა დააშავა რაჭამ? იგივე შეიძლება ითქვას სამეგრელოზე – მარტვილის მხარე, როგორც ვიცი, ძალიან კარგი ტურისტული ობიექტებია. კონკრეტულად მარტვილში არ ვიცი, რა ანსამბლია, მაგრამ აუცილებლად ექნება ფოლკლორის ცენტრს ამასთან დაკავშირებით ინფორმაცია და აუცილებლად იქნებიან იქ მეგრული სიმღერების ძალიან კარგი მცოდნები. ხევშიც შეიძლება, რომ ჩავიყვანოთ უცხოელი ეთნომუსიკოლოგები და ჩავაზრინოთ ძირძველი მოხეური სიმღერები და ა.შ. ბოლოს მაინც განსაკუთრებულ აქცენტს დავსვამ სოფელ სარფზე. ლაზეთი არის თურქეთში, მაგრამ სოფელი სარფი ერთადერთი ლაზური სოფელი გვაქვს საქართველოში; გვყავს ლაზური ფოლკლორის მოამაგე ლილი აბდულიში, გვყავს ძალიან კარგი ლაზური ანსამბლები სოფელ სარფში და იქვე არის ძალიან კარგი ტურისტული ადგილებიც, მაგალითად, გონიოს ციხე... ერთი სიტყვით, რასაც ვაკეთებთ სვანეთსა და აჭარაში, გავაკეთოთ საქართველოს სხვა მხარეებშიც და მათ შორის, სარფშიც. უცხოელი ეთნომუსიკოლოგები ლაზურს ძირითადად იცნობენ თურქული კუთხით და ჩვენ ქართული კუთხით გავაცნოთ. აი ეს არის ჩემი შემოთავაზება.

**ქერთლაინ ბითელი:** მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ ტურები იყო იმ ადგილებს უმეტესობაში, რაც გიორგიმ ახსენა... ვფიქრობ, ამ დისკუსიაში სვანეთი და აჭარა შემთხვევით იყო რამდენჯერმე ნახსენები. ახლა ათეულობით ტური ტარდება სხვადასხვა ადგილას და ერთ-ერთი, რისი გაკეთებაც მინდა მომავალ წელს, არის ამ ადგილების მონიშვნა.

**თეონა ლომსაძე:** მინდოდა თქვენს კითხვაზე პასუხის გაცემა. თქვენ ნაწილობრივ უკვე უპასუხეთ, მაგრამ ქართულად მინდოდა დამეზუსტებინა გიორგისთვის. გიორგი, ამ მრგვალი მაგიდის ფარგლებში ჩვენ არ ვსაუბრობთ კვლევაზე. ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ ვსაუბრობთ შესწავლაზე, ამ შემთხვევაში, უცხოელების მიერ ქართული ფოლკლორის და გეთანხმები აბსოლუტურად, რომ ძალიან კარგი იქნება, თუ ეს რუკა განივრცობა. როგორც ქერთლაინმა აღნიშნა, რამდენიმე სხვა კუთხეში და რეგიონშიც ყოფილა უკვე ტურები, მაგრამ ქაფსაც დავეთნახმები, რომ ნაკლები მონოპოლიზაცია თუ იქნება კონკრეტული ადგილების, რამდენიმე სხვა კუთხეში და რეგიონშიც ყოფილა უკვე ტურები, მაგრამ ქაფსაც დავეთნახმები, რომ ნაკლები მონოპოლიზაცია თუ იქნება კონკრეტული ადგილების,

რისი ინიციორებაც ერთის მხრივ შეგვიძლია ჩვენ, ადგილობრივებსა და მეორე მხრივ, მედიასატორებს, რომლებიც ამ ინფორმაციას მიიტანენ ადამიანებთან, ვინც აქ ჩამოდიან. საბედნიეროდ, ჩვენ გვყავს ასეთი არაჩვეულებრივი მედიასტორები, ვინც უკვე ამ პრაქტიკას ეწევა.

**გთორგი კრავეიშვილი:** იგივეს ჩემს მშობლიურ იმერეთშიც ვისურვებდი და საქართველოს ყველა კუთხეში.

**ქეროლაინ ბითელი:** კიდევ ერთი შეკითხვა მოვისმინოთ ინტერნეტიდან?

**მეთიუ ნაითი:** კიდევ ერთი საკითხი თუ შეიძლება: ქეროლაინი შეეხმადაცვირთულობის საკითხს და ჩვენ ვისაუბროთ ნაკლებად პოპულარულ ადგილებში წასვლასა და ხალხის მისაყვანად ახალი ადგილების პოვნის შესახებ. მაგრამ, მე მაინტერესებს, განსაკუთრებით იმ ადამიანებისგან, ვისაც პროგრამა უკვე დიდი ხალია აქვთ გაშვებული – მაგალითად, მადონა. ყოველ ჰერტე გყავთ ბევრი ახალი ხალხი? ხელმძღვანელ ჩამოსული ხალხი თუ გყავთ? ვინმეს თუ უთქვამს ოდესმე: „ეს სიმღერები ადრეც მისწავლია“.

**ქეროლაინ ბითელი:** ვის სურს კომენტარის გაკეთება? გყავთ ბევრი განმეორებით ჩამოსული ვიზიტორი? თუ შეიძლება ითქვას რომ ისინი ისევ იმავე სიმღერებს სწავლობენ?

**მადონა ჩამგელიანი:** მეთ, გვენატრები და იმედია, რომ მალე ჩამოხვალ. რაც შეეხება იმას, თუ რა გამოიწვია „ლახუშდის“ პროექტმა სვანეთში. სხვათა შორის, ბევრმა მოგვაძას სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით და მიხარია, რომ ეს ამბავი გაფართოვდა, ოლონდ სხვა კუთხით. ყველა ტერისტულმა ჯგუფმა დაამატა ფოლკლორი თავის სერვისებში, თუ ამას გაფართოებას უწინდებთ. თუმცა, ეს, პირადად მე, დიდად არ მომწონს, რადგან მუსიკოსის ან მომღერლის დაპატიუებას სუფრაზე ახლა მხოლოდ ფინანსური გამორჩენის კუთხით უყურებენ. ეს ტენდენცია სახეზეა, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ.

**ქეროლაინ ბითელი:** ზოე, ველით შენს კომენტარს, დასასრულს მე მხოლოდ რამდენიმე კომენტარს გავაკეთებ, რომ შემდეგ მოხსენებაზე გადავიდეთ.

**ზოე პერე:** ყოველ ჰერტე 13 ადამიანიდან დაახლოებით 12 პირველადაა საქართველოში. როგორც წესი, ჩვეულებრივ, ისეთი კმაყოფილი არიან მოგზაურობით და გამოცდილებით, რომ სახლში დაბრუნებულები სხვებს უყვებიან ამის შესახებ... კარგი იქნებოდა ახალი ადგილები... და ასევე შემდგარი ადგილები, როგორიც მაღონასია... უნდა დაისვას პედაგოგიკის საკითხი, როგორ უნდა ვასწავლოთ და ეს არის ის, რაც ძალიან მინდა, რომ სხვა მასწავლებლებს გავუზიარო... ვფიქრობ, ბევრის სწავლა შეგვიძლია ერთმანეთისგან.

**ქეროლაინ ბითელი:** დროა დავასრულოთ, რადგან კიდევ ერთი მოხსენება გვაქვს მოსასმენი. უბრალოდ, მინდა, რამდენიმე დასკვნითი მოსაზრება ჩამოვაყალიბო:

ეს ფერნომენი:

- შეიძლება უფრო პროდუქტიულად განიხილებოდეს არა ტურიზმის, არამედ კულტურათაშორისი შეხვედრების კუთხით.
- ეფვეზე აყენებს კულტურული მითვისების ან ექსპლუატაციის ცნებებს – უფრო მეტიც, ეს არის კულტურათაშორისი გაცვლის შემთხვევა, რომელიც ეფუძნება მეგობრობის, ურთიერთობისა და საზოგადოებრივ მოდელებს.
- მას აქვს განსაკუთრებული ძალა, როგორც არაფორმალურ, დეცენტრალიზებულ, ძირეულ სუბკულტურას, რომელიც არის საპირზონე უფრო ფორმალური, ზემოდან ქვევით, მთავრობის მიერ დაფინანსებული პროგრამებისა.
- ინარჩუნებს ძლიერ კავშირს მასპინძლობის ტრადიციულ წეს-ჩვეულებებთან,

მაგრამ რისკის ქვეშ, რომ ეს ადათ-წესები დაიკარგება მონეტარული ეკონომიკისა და ბიზნეს მოდელის დანერგვით.

- აწყდება გამოწვევებს მდგრადობასთან დაკავშირებით და აუცილებლობას, რომ თავი აარიდოს, ერთი მხრივ, სასაქონლო და კომერციალიზაციის პროცესებში და, მეორე მხრივ, უკვდავყოფის პროცესებში ჩათორევას.

მადლობა ყველა მონაწილეს. განსაკუთრებული მადლობა მათ ჩვენი ჰგუფის წევრებისგან და ვულოცავ ყველას, ვინც მონაწილეობა მიიღო ამ შეხვედრაში.

**გაშიფრა ნინო ვეშაპიძემ,  
ინგლისურიდან თარგმნა მაკა ხარძიანმა,  
ქართულიდან თარგმნა მაია კაჭკაჭიშვილმა**